



## გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №  
2020 წლის აპრილი  
ქ.გორი

**„გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** „გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №19 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) 16/11/2017, 010260020.35.148.016405) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 90-ე და 91-ე გრაფებს შორის არსებული გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის და შრომის უსაფრთხოების დაცვის განყოფილება**

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 83-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

102	IV რანგი (უმცროსი სპეციალისტი)	I კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	უმცროსი სპეციალისტის თანამდებობა	2	700
-----	--------------------------------------	--	--	---	-----

გ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 102-ე გრაფა ამოღებულ იქნას.

დ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ს 108-ე გრაფის შემდეგ დაემატოს გრაფა შემდეგი რედაქციით:

<b>ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება</b>
--

ე) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ს დაემატოს 108<sup>1</sup> გრაფა შემდეგ რედაქციით:

108 <sup>1</sup>	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა	1	1200
------------------	--	--	--	---	------

ვ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ს დაემატოს 108<sup>2</sup> გრაფა შემდეგ რედაქციით:

108 <sup>2</sup>	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	3	900
------------------	--------------------------------------	---------------------------------------	---------------------------------------	---	-----

**მუხლი 2.**

1. ამ დადგენილების 1-ლი მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები, ამოქმედდეს 2020 წლის 17 მაისს, ხოლო ამ დადგენილების 1-ლი მუხლის „ა“ „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები ამოქმედდეს 2020 წლის 17 აპრილს.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე

## სამართლებრივი აქტის პროექტის განმარტებითი ბარათი

„გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

### 1. ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ:

#### ა) პროექტის მიღების მიზეზი:

საჯარო დაწესებულებები მუდმივად განიცდიან სხვადასხვა უფლებამოსილებების ფარგლების ცვლილებებს, საჯარო დაწესებულებას ენიჭება ახალი ფუნქცია ან აკლდება ფუნქცია იმის გათვალისწინებით, თუ რა გამოწვევებზე საპასუხოდ უწევს მას ფუნქციონირება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჯარო დაწესებულების რეორგანიზაცია ბუნებრივი პროცესია, რაც საჯარო მმართველობის ეფექტურად განხორციელებისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობის მქონეა.

საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ 96-ე მუხლის თანახმად (ამავე კანონის 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით ამოქმედდება 2020 წლის 1 ივნისიდან) განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის ორგანოების უფლებამოსილებები, კერძოდ: მუნიციპალიტეტის ორგანოები იღებენ ყველა საჭირო სამართლებრივ, ადმინისტრაციულ და სხვა ზომას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების დასაწერად მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის სამართლებრივი აქტის შემუშავებისას ან/და გადაწყვეტილების მიღებისას ნებისმიერ საკითხზე, რომელიც პირდაპირ ან ირიბად გავლენას მოახდენს ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფის უფლებებზე. მუნიციპალიტეტის ორგანოები ხელს უწყობენ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ბავშვთა თანაბარ და ეფექტიან მონაწილეობას და უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მიდგომების დანერგვას. მუნიციპალიტეტის კომპეტენციის ფარგლებში ბავშვის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის მართვის მიზნით მუნიციპალიტეტმა უნდა განსაზღვროს შესაბამისი სამსახური (სტრუქტურული ერთეული), რომელიც შეიმუშავებს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამებს და უზრუნველყოფს მათ მართვას და მათი განხორციელების კონტროლს საკუთარი ან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში. მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის (სტრუქტურული ერთეულის) საქმიანობა მოიცავს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურების სფეროებს. ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურების სფეროებში მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის ამოცანები და ფუნქციებია:

- ა) ბავშვის უფლებების დაცვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება, მათი განხორციელების კოორდინაცია, განხორციელების პროცესის მონიტორინგი და შეფასება;
- ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განმახორციელებელი სოციალური მუშაკების ქსელის შექმნა და მათი სამოქმედო უზენების განსაზღვრა;
- გ) ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების განსახორციელებლად შესაბამის დაწესებულებებთან კოორდინირებული მუშაობა;
- დ) არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების კოორდინაცია;
- ე) სახელმწიფო დაწესებულებებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობა როგორც ქვეყანაში, ისე მისი ფარგლების გარეთ;
- ვ) ბავშვის უფლებების დაცვის მუნიციპალური პროგრამების განსახორციელებლად შესაბამისი კერძო სამართლის იურიდიული პირების შერჩევა, რეგისტრაცია და შესაბამისი სახელმძღვანელო პირობების განსაზღვრა;
- ზ) დამტკიცებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების შესაბამისად სტატისტიკის წარმოება; ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა;
- თ) საქართველოს კანონმდებლობითა და საკუთარი დებულებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური ბავშვის საჯარო სივრცეში დაცვის, საჯარო ღონისძიებაში მონაწილეობის მიზნით ბავშვთა ჯგუფური ტრანსპორტირების წესების დაცვის და ბავშვზე მეთვალყურეობის განმახორციელებელი პირის (ღონისძიების ორგანიზატორის) მიერ ვალდებულებების შესრულების, ბავშვის ბეჭდურ მედიასთან, საჯარო კინოჩვენებაზე და მასობრივ გასართობ საცეკვაო ცენტრში (დამის კლუბში) დაშვებისა და ბავშვისთვის ჩაწერილი ფილმის ხელმისაწვდომობის სამართლებრივი შეზღუდვების დაცვის, ბავშვისთვის ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური და თრობის სხვა საშუალებების, ალკოჰოლიანი სასმლის, თამბაქოსა და ნიკოტინის შემცველი

ნაწარმისა და კავსულის უსასყიდლო და სასყიდლიანი მიწოდების აკრძალვის წესების დაცვის მიზნით პრევენციულ და შესაბამისი რეაგირების ღონისძიებებს ახორციელებს ბავშვის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის საფუძველზე, რომელსაც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-18 მუხლის საფუძველზე შეიმუშავენ და ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალით. მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურში დასაქმებული უნდა იყვნენ სულ მცირე ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი, ბავშვის ფსიქოლოგი, ბავშვის ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტი და ბავშვის სამართლებრივი დახმარების სპეციალისტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქიროა გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურში შეიქმნას ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება, რომელიც საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ განსაზღვრული წესითა და ვადებში განახორციელებს ამავე კოდექსით გათვალისწინებულ ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური სამსახურის უფლება-მოვალეობებს. ამასთან, მიზანშეწონილია განყოფილების შემადგენლობაში, გარდა განყოფილების ხელმძღვანელისა შეიქმნას საჯარო მოხელეთა მე-3 რანგის 1-ლი კატეგორიის უფროსი სპეციალისტების პოზიციები: სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, ინსპექტორი. აღნიშნული განყოფილების სამიანობის დასახმარებლად ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტის და იურისტის სათანადო ფუნქციების შესრულება კი დაეკისროთ მერიის შესაბამისი სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებულ საჯარო მოხელეებს.

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დამსაქმებელი (ამავე კანონის მიხედვით დამსაქმებელი არის ასევე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო დაწესებულება) თავისი კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში ვალდებულია განახორციელოს რიგი მოქმედებები. შრომის უსაფრთხოება განმარტებულია, როგორც დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ფუნქციური შესაძლებლობების სამუშაოს უარყოფითი ასპექტებისაგან დაცვის სისტემა, რომელიც ჯანსაღი და უსაფრთხო საქმიანობის პირობებს ქმნის და მოიცავს სამართლებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ, ორგანიზაციულ-ტექნიკურ, სანიტარიულ-ჰიგიენურ, სამკურნალო-პროფილაქტიკურ, სარეაბილიტაციო და სხვა ღონისძიებებს. **ამავე კანონის მიხედვით 100 ან მეტი დასაქმებულის ყოლის შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია შექმნას შრომის უსაფრთხოების სამსახური არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტით.** შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი არის დამსაქმებლის მიერ დანიშნული/მოწვეული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნით უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვასა და მართვას; ვინაიდან გორის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულია ასზე მეტი ადამიანი, გორის მუნიციპალიტეტის მერია ვალდებულია გააჩნდეს შრომის უსაფრთხოების სამსახური არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტით. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების მიზნით, მიზანშეწონილია გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება განისაზღვროს ასევე შრომის უსაფრთხოების შესაბამის სტრუქტურულ ერთეულად (შესაბამისად შეიცვალოს განყოფილების სახელწოდებაც) და განყოფილებას საკუთარ ფუნქციებთან ერთად დაემატოს ფუნქციები და განისაზღვროს, რომ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის და შრომის უსაფრთხოების დაცვის განყოფილება დამატებით უზრუნველყოფს:

- ა) გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობებში შრომის უსაფრთხოების სფეროში დადგენილი სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმების და წესების დაცვას;
- ბ) სამუშაო სივრცეში მყოფი დასაქმებულის და სხვა პირების უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას;
- გ) ტექნიკური აღჭურვილობის შემოწმებას, რისკების შეფასებას, პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას;
- დ) „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით და ამ სფეროში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, სისტემური, ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მერის წარმომადგენლების და წარმომადგენლების ასისტენტების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების მე-4 რანგის 1-ლი კატეგორიის 1 (ერთი) საშტატო პოზიცია გაუქმდეს და ამავე სამსახურის საქმისწარმოების განყოფილებას დაემატოს მე-4 რანგის 1-ლი კატეგორიის 1 (ერთი) საშტატო პოზიცია, ასევე, დღეის მდგომარეობით მერის წარმომადგენლების და წარმომადგენლების ასისტენტების საქმიანობის

კოორდინაციის განყოფილების მე-4 რანგის 1-ლი კატეგორიის საშტატო პოზიციაზე დასაქმებული საჯარო მოხელე მობილობის წესით გადაყვანილ იქნას საქმისწარმოების განყოფილებაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**ბ) პროექტის მიღების მიზანი:**

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემური, ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა. მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულება.

**გ) პროექტის ძირითადი არსი:**

პროექტის მიხედვით:

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურში შეიქმნება ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება, რომელიც საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ განსაზღვრული წესითა და ვადებში განახორციელებს ამავე კოდექსით გათვალისწინებულ ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური სამსახურის უფლება-მოვალეობებს. ამასთან, განყოფილების შემადგენლობაში, გარდა განყოფილების ხელმძღვანელისა შეიქმნება საჯარო მოხელეთა მე-3 რანგის 1-ლი კატეგორიის უფროსი სპეციალისტების 3 (სამი) საშტატო პოზიცია.)

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება განისაზღვრება ასევე შრომის უსაფრთხოების შესაბამის სტრუქტურულ ერთეულად, შესაბამისად შეიცვლება განყოფილების სახელწოდება და განყოფილებას დაერქმევა „მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის და შრომის უსაფრთხოების დაცვის განყოფილება“.

ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მერის წარმომადგენლების და წარმომადგენლების ასისტენტების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების მე-4 რანგის 1-ლი კატეგორიის 1 (ერთი) საშტატო პოზიცია გაუქმდება და ამავე სამსახურის საქმისწარმოების განყოფილებას დაემატება მე-4 რანგის 1-ლი კატეგორიის 1 (ერთი) საშტატო პოზიცია,

**2. პროექტის ფინანსური დასაბუთება:**

**ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

**ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**გ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

პროექტის მიღების შემთხვევაში ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ყოველთვიურად გაიზრდება 3900 ლარის, ხოლო ყველწლიურად 46800 ლარის ოდენობით.

**3. პროექტის მომზადების პროცესი**

**ა) პროექტის ავტორი:**

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი ალექსანდრე თარხნიშვილი

**ბ) პროექტის ინიციატორი:**

გორის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე თავზარაშვილი

18 მარტი 2020 წ.